დანართი №1
დამტკიცებულია
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

2011 წლის "14. 11“ №201/02-01 ბრძანებით

კომისიის მუშაობის წესი

§ 1. კონკურსის მიზანი

1. კონკურსის მიზანია მასწავლებელთა (ტრენერთა) შერჩევა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრში, ქ. ქუთაისში სასერტიფიკატო კურსებისა და ტრენინგების ჩასატარებლად.
2. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით იქმნება კომისია.

§ 2. კომისიის შემადგენლობა

კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნისა და ორი წევრის შემადგენლობით.

§ 3. კომისიის მუშაობა

1. კომისიის ყველა სხდომა არის დახურული;
2. კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფედენციალურობა და არ გაამჟღავნონ ინფორმაცია შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე;
3. კომისიის ფუნქციები:

ა) კონკურსის პროცედურის ორგანიზება დადგენილი წესის შესაბამისად;
ბ) კონკურსის პირველ ეტაპზე აპლიკანტების კანდიდატურის განხილვა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;
გ) პირველ ეტაპზე შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრების ორგანიზება და ჩატარება კონკურსის მეორე ეტაპზე;
დ) კონკურსის შედეგად რეკომენდირებული კანდიდატების წარდგენა ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის;

4. კომისიის თავმჯდომარეს ევალება:

ა) კომისიის ხელმძღვანელობა, მისი მუშაობის ორგანიზება დადგენილი წესებისა და წინამდებარე რეგლამენტის საფუძველზე:
ბ) კომისიის სხდომების დანიშვნა, მათი ჩატარების ადგილისა და დროის განსაზღვრა:

გ) სხდომებისათვის დოკუმენტაციისა და მასალების მომზადების კონტროლი;
დ) კომისიის სხდომების წარმართვა;
5. კომისიის მდივანს ევალება:
ა) კომისიის წევრებისათვის სხდომების დროისა და ადგილის შეტყობინება;
ბ) კომისიის წევრების საჭირო მასალებითა და დოკუმენტაციით უზრუნველყოფა;
გ) კომისიის მუშაობის ოქმების წარმოება;
დ) კომისიის თავმჯდომარის იმ დავალებების შესრულება, რომელიც კომისიის მუშაობასთანაა დაკავშირებული;
6. კომისიის სხდომების ოქმებში უნდა დაფიქსირდეს:
ა) სხდომის თარიღი;
ბ) დამსწრეთა შემადგენლობა;
გ) განსახილველი საკითხები;
დ) კენჭისყრის შედეგები;
ე) მიღებული გადაწყვეტილება.
7. კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
8. კომისია უფლებამოსილია აპლიკანტს მოსთხოვოს სააპლიკაციო დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა კომისიის მიერ დადგენილ ვადებში;
9. კომისია უფლებამოსილია მოხსნას კონკურსიდან აპლიკანტი, თუ:
ა) წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს არასწორ ინფორმაციას;
ბ) წარმოდგენილი დიპლომი არარელევანტურია;
გ) დოკუმენტაცია გაყალბებულია;
დ) აპლიკანტმა კომისიის მიერ დადგენილ ვადაში არ/ვერ წარმოადგინა კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები.
10. კონკურსის დასრულებისა და შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ კომისიის სრული დოკუმენტაცია შესანახად გადაეცემა თსუ კანცელარიას.

§ 4. აპლიკანტის შეფასება

აპლიკანტის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება უმაღლესი განათლების შესაბამისობა და პედაგოგიური გამოცდილება, ასევე აპლიკანტთა სხვა აქტივობები, პროფესიული მიღწევები, დამსახურება და რეპუტაცია.

§ 5. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით ხმათა უბრალო უმრავლესობით.
2. კონკურსის შერჩეულ კანდიდატად ჩაითვლება აპლიკანტი, რომელსაც ხმას მისცემს კომისიის წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბარი ოდენობის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს კომისიის თავმჯდომარე.

§ 6. დავების გადაწყვეტა

გასაუბრების შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობი შესაბამისად.